

შპს ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდების
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის.
(მსს ფასს)

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ამონაგები	9
4. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	9
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9
6. სხვა საოპერაციო ხარჯები	9
7. მოგების გადასახადი	10
8. ძირითადი საშუალებები	10
9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	11
10. საგადასახადო აქტივები	11
11. სესხები და კრედიტები	11
12. საწესდებო კაპიტალი	12
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2023	2022
ამონაგები	3	4,157,304	2,800,419
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4	(3,313,967)	(2,176,987)
საერთო მოგება		843,337	623,432
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(535,613)	(360,766)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები - წმინდა		24,915	29,332
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(80,788)	(61,026)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		251,851	230,972
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(29,081)	(22,000)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(29,081)	(22,000)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		222,770	208,972
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(2,229)	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		220,541	208,972
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		457,572	248,600
დივიდენდები	12	14,861	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		663,252	457,572

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2023	2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	179,170	20,705
საგადასახადო აქტივები	10	-	5,800
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		19,153	62,508
გადახდილი ავანსები		53,552	-
		251,875	89,013
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	864,776	896,106
		864,776	896,106
სულ აქტივები		1,116,651	985,119
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი		(122,015)	(165,002)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(1,548)	(5,586)
მოკლევადიანი სესხები	11	(33,758)	(30,014)
		(157,321)	(200,602)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	(295,446)	(316,313)
		(295,446)	(316,313)
სულ ვალდებულებები		(452,767)	(516,915)
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	(632)	(10,632)
გაუნაწილებელი მოგება		(663,252)	(457,572)
		(663,884)	(468,204)
სულ კაპიტალი		(663,884)	(468,204)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(1,116,651)	(985,119)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		220,770	208,972
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		12,707	19,593
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		29,081	22,000
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები		(24,915)	(29,332)
		268,074	221,233
<i>კორექტირებები:</i>			
ზრდა/კლება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		43,335	(62,865)
კლება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში		5,800	22,560
კლება/ზრდა გადახდილ ავანსებში		(53,552)	63,421
კლება გადავადებულ შემოსავალში		(42,987)	(177,527)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(4,038)	8,715
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		216,652	75,537
მიღებული პროცენტი		-	-
გადახდილი პროცენტი		(28,781)	(22,000)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		185,642	53,537
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(8,922)	(14,000)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		22,804	9,871
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		13,882	(4,129)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა		(29,701)	(33,988)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		(10,000)	8,827
გადახდილი დივიდენდები	12	(14,861)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(54,562)	(25,161)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულში და ფულთან გათანაბრებულ ინსტრუმენტებში		144,962	24,247
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები/(ხარჯები), ფულზე და ფულთან გათანაბრებულ ინსტრუმენტებზე		13,503	(61,093)
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წლის დასაწყისში		20,705	57,551
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წლის ბოლოს	9	179,170	20,705

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდის“ დაფუძნდა 2006 წლის 19 ოქტომბერს და მას შემდეგ ეწევა უცხოელი ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანას და მათთვის ტურისტული პაკეტების მიწოდებას. კომპანიის გაყიდვების არეალი უცხოური ბაზრებია. მომსახურების გაწევის არეალი საქართველოა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, წინამძღვრიშვილის №87. მისი რეგისტრაციის ნომერია (საიდენტიფიკაციო კოდია) 202355584. კომპანიის 100%-იანი მფლობელი არის მანანა ცირამუა, პირადი ნომრით 01030004200. 2022 წლამდე იგი ასევე იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას. 2022 წელს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე დაინიშნა გიორგი ქართველიშვილი, პირადი ნომრით 01017034967. 2023 წელს, აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე დაინიშნა საბა გეწამე, პირადი ნომრით 01005029486.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად.

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის ანგარიშგების ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაფერისად მიიჩნევს.

2023 და 2022 წელს, კომპანიის შემოსავლის 99%-ს წარმოადგენდა ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურ-პაკეტების მიწოდება.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესა სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და შეიქმნდა ლოჯისტიკური პრობლემები საერთაშორისო ბაზარზე და ფასების დესტაბილიზაცია. ასევე ტურიზმის სექტორს სირთულეებს უქმნის შუა აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება, შეიარაღებული კონფლიქტი ისრაელსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს ეკონომიკაში. ამ ყოველივეს მიუხედავად, ჩვენს კომპანიას აქვს დამაიმედებელი იმედი, რომ შრომითი ეფექტურობის საფუძველზე მოიმატებს გაყიდვები, რითიც კომპანია შეძლებს მომავალში დაასაქმოს უფრო მეტი ადამიანი და შეიტანოს თავისი წვლილი საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარებაში.

(a) ამონაგების აღიარება

შემოსავლის 99%-ის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის პ ქვეპუნქტის თანახმად, ტუროპერატორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებული შემოყვანა და მისთვის

საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდება ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულია დღგ-საგან. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

კომპანია ტურისტული პაკეტის მიღებული შეკვეთისათვის განსაზღვრავს ფასს და შესაბამის ინვოისს უგზავნის მომხმარებელს, ძირითადად, ტურისტული პაკეტის უშუალოდ განხორციელებამდე ხდება მომხმარებლის მიერ თანხის გადახდა, რომელიც მიღებულ ავანსებში (გადავადებულ შემოსავალში) აღირიცხება. არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება.

(b) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი, რომელიც ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. დასაბეგრი მოგება იყოფა ორ ნაწილად: გაცემულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი და არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეულ ხარჯზე დარიცხული მოგების გადასახადი.

(c) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადაა 5 წელი.

(d) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი. არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება.

(f) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება.

მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(g) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება.

(h) სესხები და კრედიტები

კომპანია აღრიცხავს მის სასესხო ვალდებულებებს ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

(i) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

(j) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ

პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3. ამონაგები

ლარი	2023	2022
სერვისი არარეზიდენტი ტურისტებისთვის	4,134,876	2,774,894
სერვისი რეზიდენტი ტურისტებისთვის	22,428	25,525
სულ ამონაგები	4,157,304	2,800,419

შემოსავალი არარეზიდენტი ტურისტებისთვის გაწეული მომსახურებიდან საქართველოს კანონმდებლობით განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ). სერვისი რეზიდენტი ტურისტებისთვის ჩვეულებრივ იბეგრება დღგ-ით.

4. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2023	2022
გიდების და მძღოლების შრომის ანაზღაურება	206,653	187,913
მიკრო მეწარმეების შრომის ანაზღაურება	-	1,475
სასტუმროს ხარჯები	1,732,359	837,199
რესტორნის ხარჯები	298,130	191,642
მუზეუმის ხარჯები	77,985	51,755
სატრანსპორტო ხარჯები	367,115	288,788
უცხოელი ბიზნეს პარტნიორების ხარჯები	631,725	335,362
სხვა ტურისტული ხარჯები	-	282,853
სულ თვითღირებულება	3,313,967	2,176,987

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2023	2022
შრომის ანაზღაურება	478,319	331,021
მივლინების ხარჯები	42,369	3,678
ცვეთა და ამორტიზაცია	12,707	19,593
რეკლამის ხარჯები	-	4,344
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	2,218	2,130
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	535,613	360,766

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	2023	2022
ბანკის საკომისიო	10,823	6,819
სხვა საოპერაციო ხარჯები	69,965	54,207
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	80,788	61,026

7. მოგების გადასახადი

2023 წელს კომპანიამ გასცა 14,861 ლარის დივიდენდი (2022: 0 ლარი), რომელზეც დაერიცხა 2,229 ლარის მოგების გადასახადი (2022: 0 ლარი).

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწის ნაკვეთები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	104,127	178,276	57,085	706,076	1,045,564
შემოსვლა	-	-	-	14,000	14,000
გაყიდვა	-	(27,871)	-	-	(27,871)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	104,127	150,405	57,085	720,076	1,031,693
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	104,127	150,405	57,085	720,076	1,031,693
შემოსვლა	-	5,254	3,668	-	8,922
გაყიდვა	-	(81,206)	-	-	(81,206)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	104,127	74,453	60,753	720,076	959,409
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	(104,562)	(29,432)	-	(133,994)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	(14,743)	(4,850)	-	(19,593)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	18,000	-	-	18,000
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(101,305)	(34,282)	-	(135,587)
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	(101,305)	(34,282)	-	(135,587)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(5,293)	(7,141)	-	(12,707)
გაყიდვა	-	53,661	-	-	53,661
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(52,937)	(41,696)	-	(94,633)
საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერს	104,127	49,100	22,803	720,076	896,106
2023 წლის 31 დეკემბერს	104,127	21,516	19,057	720,076	864,776

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუმთავრებელი მშენებლობა, ღირებულებით 720,076 ლარი (2022: 720,076 ლარი) და მიწის ნაკვეთები, ღირებულებით 55,576 ლარი (2022: 55,576), წარმოადგენენ ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფას.

9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარი	2023	2022
ნაშთი ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	17,512	7,609
ნაშთი ბანკში, უცხოურ ვალუტაში	161,658	13,096
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	179,170	20,705

10. საგადასახადო აქტივები

ვინაიდან კომპანიის მიერ დაგეგმირებული შემოსავალი ძირითადად დღგ-სგან ჩათვლის უფლებითაა განთავისუფლებული, ხდება გადახდილი დღგ-ების დაგროვება ზედმეტობაში, რითიც სხვა გადასახადების (საშემოსავლო, ქონება, მოგება, დივიდენდი) გადახდა ხორციელდება. 2023 წლის ბოლოს, ჩათვლილი დღგ-ის ზედმეტობის ნაშთმა შეადგინა 0 ლარი (2022: 5,800 ლარი).

11. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განხილულია ინფორმაცია ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

ლარი	2023	2022
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	295,446	316,313
	295,446	316,313
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	33,758	30,014
	33,758	30,014
სულ სესხები და კრედიტები	329,204	346,327

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია დაუმთავრებელი მშენებლობითა და მიწის ნაკვეთებით (შენიშვნა 8).

სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

შპს „ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდის“

ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
				ნომინალური დირეზულება	საბალანსო დირეზულება	ნომინალური დირეზულება	საბალანსო დირეზულება
უზრუნველყოფილი სესხები							
ფინანსური ინსტიტუტებისგან	ევრო	9.27%	2033			329,204	329,204
სულ პროცენტთან							
ვალდებულებები						329,204	329,204

ვალდებულებების მოძრაობისა და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შეჯერება

ლარი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	346,327
ნასესხები სახსრების დაფარვა	(29,701)
საპროცენტო ხარჯი	29,081
გადახდილი პროცენტი	(28,781)
საკურსო ზარალი	12,278
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	329,204

ლარი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	460,509
ნასესხები სახსრების დაფარვა	(33,988)
საპროცენტო ხარჯი	
გადახდილი პროცენტი	22,000
საკურსო მოგება	(22,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(80,194)

12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში. 2022 წელს კომპანიის დირექტორმა კაპიტალში შეიტანა 8,827 ლარი. 2023 წელს კომპანიის დირექტორმა კაპიტალიდან გადმოიტანა 10,000 ლარი.

ლარი	2023	2022
სადამფუძნებლო საწესდებო კაპიტალი	300	300
ავტობუსის ყიდვისას დამატებული საწესდებო კაპიტალი	332	10,332
სულ ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	632	10,632

2023 წელს კომპანიის 100%-იან მეწილეზე გამოცხადდა და გადახდილ იქნა დივიდენდები 14,861 ლარის (2022: 0 ლარი) ოდენობით.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის 100%-იანი მეწილე 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მანანა ცირამუა. 2023 და 2022 წლის განმავლობაში მასზე გაცემული დივიდენდის ოდენობა მოცემულია შენიშვნა 12-ში.

1-13 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 18 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:



საბა გეწაძე
აღმასრულებელი დირექტორი